# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— შაბათი, 20 მაისი 1900 წ. № 1129

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**



## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულია 28 და 29 მაისს მუშტაიდის ბაღში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლებაკნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—41)

## წარსული წლების ჟურნალი
## „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


## ახალი ამბავი

—

✦ 18 მაისს, **შაჰის ტფილისიდან წასვლის დღეს**, დილის 6 საათზე, სასახლეში მოგროვდნენ წარჩინებულნი პირნი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და წოდებათა წარმომადგენელნი, რათა გამოსხოვებოდნენ მის უდიდებულესობას. სასახლიდან დაწყებული ნიკოლოოზის ხიდამდე ქუჩების ორივე მხრით ჯარი იდგა მუსიკით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრე იყო, ქუჩებში აუარებელი ხალხი იდგა. 7 საათზე და 10 წუთზე სასახლიდან გამობრძანდა შაჰი გენ.-ადიუტანტით არსენიევით, მთავარმართებლის თანაშემწეთი ა. ა. ფრეზეთი, დიდის ვეზირით და თავის ამალით. ამ დროს არსენალის მთიდან დაიწყეს ზარბაზნის სროლა, და მუზიკის ხოროებმა დაუკრეს სპარსეთის ჰიმნი. შაჰთან ერთად ეტლში ჩაჯდნენ გენ. არსენიევი და დიდი ვეზირი ემინუს სულთან სადრაზამი. ამ ეტლს უკან მიჰყვნენ სხვა ეტლებიც. რკინის გზის სადგურზე შაჰმა თავაზიანად დაუკრა თავი ყველა იქ მყოფთ და შევიდა საგანგებო მატარებლის ვაგონში. 8 საათზე მატარებელი მოშორდა ტფილისს და გაექანა მცხეთისაკენ. მცხედამდე მისი უდიდებულესობა გააცილეს მთავარმართებლის თანაშემწემ ა. ა. ფრეზემ და ტფილისის გუბერნატორმა ი. ნ. სვეჩინმა. ვლადიკავკავს შაჰი მივიდოდა გუშინ საღამოს; ხოლო დღესვე აპირებს წასვლას რკინის გზით ვარშავისაკენ, საიდანაც საზღვარ გარედ წავა.

✦ ჰიათურიდან უკვე ჩამოვიდა ტფილისს კავკასიის საექიმო ნაწილის უფროსი ბ. ფენომენოვი. კავკასიის უმაღლეს მთავრობას მან მოახსენა, რომ ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ დაამტკიცაო, რომ ჰიათურაში გაჩენილი გადამდები სენი **შავი ჭირი არ არისო.**

✦ „ივერია“-ს ოდესიდან სწერენ: „მიმდინარე წლის გასულს ოდესსის უნივერსიტეტის ორდინარნი პროფესსორს **გასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს** ოც და ათი წელიწადი უსრულდება სამსახურისა, რის შემდეგაც პატივცემული პროფესორი უნივერსიტეტს თავს ანებებს და სამშობლოში ბრუნდება სამოღვაწეოდ: პეტრიაშვილის ძვირფასი სამსახური მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე შესაფერ ჯილდოს მოითხოვს მის თანამემამულეთაგან. მისი მუდმივი გულ-მხურვალე თანაგრძნობა ყოველს ჩვენს საქმეში, ის ძვირფასი მეცნიერული განძი, რომელიც მას შეუტანია ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში, ის მამობრივი სამსახური, რომელიც მას გაუწევია მთელის ოდესსელ ქართველობისათვის და განსაკუთრებით ქართველ სტუდენტებისათვის, თავისთავად ვალად გვყოფს ამ დიდად და დიდად ძვირფასის ადამიანის პატივსაცემად. ოდესსელმა ქართველობამ, რომელსაც დიდად გული სწყდება პროფესსორის პეტრიაშვილის განშორებით, განიზრახა სტიპენდიის დაარსება ვ. მ. პეტრიაშვილის სახელობაზედ ოდესსის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ, რომ ამით გულითადი მადლობა გამოუცხადოს ძვირფასს თანამემამულეს და სამუდამოდ დაუვიწყარ-ჰყოს მისი სახელი ოდესსის უნივერსიტეტში. ამ განზრახვით ოდესსელმა ქართველობამ შეაგროვა კიდეც 455 მანეთი პროფესსორის ვ. მ. პეტრიაშვილის სტიპენდიის ფონდის სასარგებლოდ.

ამ სასარგებლო საქმის განსახორციელებლად, იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობას არ დააკლებს

✦ ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი ყოვლად სამღვდელო **ალექსანდრე** 17 მაისს ჩამობრძანდა ფოთიდან. აქედან შიო მღვიმის მონასტერში მიბრძანდება, სადაც დაჰყოფს რამდენსამე დღეს.

✦ ჰიათურიდან გვატყობინებენ, რომ იქ 27 მაისს **გადამწვარა** ოცდა ათამდე დუქანი. ზარალი მეტად დიდია.

✦ მოსკოვის გაზეთების სიტყვით, მოსკოვში ამ ჟამად სდგება **მოგზაურთა ამხანაგობა**, რომელსაც, სხვათა შორის, განზრახვა აქვს დაიაროს **სვანეთი** და ავიდეს იალბუზზე. მოგზაურთა შორის არის ერთი მომღერალი მუსიკის კარგი მცოდნე, რომელსაც განზრახვა აქვს დასწეროს ნოტებზე სვანური სიმღერები. მოგზაურთა რიცხვში არიან პროფესსორები, ფოთოგრაფები და მწერალ-კორრესპონდენტები, რომელთაც განუზრახავთ ყოველმხრივი აღწერა სვანეთისა.

✦ საჟფლისწულო უწყება ელის წელს გურიის პლანტაციებიდან 5000 გირვანქა **ჩაის**, ხოლო მერმის 20 ათას გირვანქას.

✦ ფინანსთა სამინისტროს წარუდგენია **პროექტი არხის** გაყვანისა ბაქოდან დაბა გოროდილამდე აპშერონის ნახევარ კუნძულზე, კასპის ზღვის ნაპირას. ეს არხი შეამოკლებს ბაქოდან ასტრახნამდე გზას 100 ვერსით, რაც შეამცირებს ნავთის გადაზიდვაზე დადებულს გადასახადს და ამით გააიაფებს რუსეთში მიმავალ ნავთს. არხის გაყვანა დაჯდება 17 მილიონი მანათი.

✦ პეტერბურგში ამ მოკლე ხანში მოხდება **კრება** ყველა სახაზინო **რკინის გზათა უფროსებისა**. კრებამ უნდა განიხილოს კითხვა შესახებ გაუმჯობესობისა მგზავრთა და საქონლის გადაზიდვისა რკინის გზებზე.

✦ ტფილისის საგუბერნიო მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ საერობო ხარჯით გაკეთებულ იქმნას **ხიდი** მდ. ცილიანის-ხევზე, სოფ. გურჯაანში, სილნაღისა და თელავის შუა გზაზე. ხიდის გაკეთება დაჯდება 3000 მანათამდე.

✦ 17 მაისს, სად. სალიეთის მახლობლად (ჰიათურის რკინის გზის ტოტი) დატრიალდა საშინელი **უბედურება**: პავლე და ივანე კიკნაძეები ლაღმით იქმნენ მძიმედ დაშავებულნი. ლაღუმი დაუმზადებიათ 16 მაისს, მაგრამ რაღაც ეშმაკათ, მთელი ერთი დღე და ღამე ფითილს არ მოჰკიდებოდა. 17 მაისს კი, როცა მივიდნენ სანახავად, უეცრად გავარდნილიყო. ორივე სასიკვდილოთ არიან დაჰრილი.

✦ გუშინ, 19 მაისს, დილის 10 საათზე, **ცეცხლი გაუჩნდა** მირიმანოვის დიდ შენობას გოლოვინის პროსპექტზე, რომელშიაც მოთავსებულია სასტუმრო „ორიანტი“. ცეცხლის გაჩენისათანავე მოვიდა ცეცხლის მქრობი რაზმი, რომელმაც, ტფილისის პოლიც-

მეისტერის ბ-ნ კოვალიოვის ხელმძღვანელობით, ენერგიულად დაიჭყო ცეცხლის ქრობა და ორი საათის განმავლობაში ცეცხლი ჩააქრო. დაიწვა სახურავი და ზოგან კოჭები. შენობა, სასტუმროს ავეჯეულობა და მაღაზიების საქონელი დაზღვეულია.

✦ გუშინ ღამ, დიდი მთავრის ქუჩაზე (ნაზერეჟნაია), **ცეცხლი** წაეკიდა ვიღაცის თავლას, და მთლად დაიწვა; დამწვარა შიგ ერთი ცხენიც.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს უარუყვია პროექტი ზემოავჭალაში მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენში **საბადოსნო სკოლის** დაარსების შესახებ.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს მმართველობას განკარგულება მოუხდენია, რომ ფოსტას შეუძლია მისცეს ფული არა მარტო მათ, ვინც წარმოადგენს დამტკიცებულ უწყებას, არამედ მათაც, ვინც წარმოადგენს თავის **პასპორტს**.

✦ 15 იენისს მოხდება **საჯარო გაჭრობა** ქალაქის მამულებისა, რომელნიც დაგირავებულნი არიან ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში და რომელთაც ხვედრი შესატანი ფული არ გადაუხდიათ. სულ გასასყიდად დანიშნულია 156 ტფილისის მამული.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ „ცნობის ფურცელში“ ამ დღეებში დაბეჭდილი ამბავი ქ-ნ **ბარბარე ავალიშვილის ავადმყოფობის** შესახებ არ არის სრულიად მართალი: კნ. ავალიშვილისა ყოფილა ავად ამას წინად; ეხლა-კი უკედ არის.

✦ ნავთლუღში გავრცელდა **მარცვა-გლეჯა**. განსაკუთრებით ეგრედ წოდებულ დოლაბაურის გზით ბინდის შემდეგ მეტად საშიშოა გავლა. ამ ოთხის დღის წინად გაძარცვეს ერთი კაცი. წარმოიდგინეთ, საცვლებიც კი არ შეურჩენიათ და დედიშობილა კაცი გაუშვიათ.

✦ დაიბეჭდა და ხვალ დაურიგდება ხელის-მომწერთ ჟურნალი „მოამბის“ მეოთხე ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) „ყოველის მხრიდან“,—არბოელისა; 2) „ქამუშაძის გაჭირვება“,—IX—XV— დავით კლდიაშვილისა (დასასრული); 3) *** ლექსი (ჰეინედან) ს-სა; 4) „ორი ქურუმი“—ყირიმული ლეგენდა,—თ. სახოკიასი; 5) „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის-ძე დავით და ბატონიშვილი იულონ“—ივ. ჯავახიშვილისა; 6) „სამეგრელოს აღწერა“,—არქანჯელო ლამბერტისა (თარგმ. იტალიანურით); 7) „ვეფხის ტყაოსნის ყალბი ადგილები“,— LXXIII—LXXIV—ალ. ს—შვილისა; 8) „ბატონ-ყმობა სამეგრელოში“—კ. ბოროზდინისა, თარგმანი თ. ს—სი; 9) „შინაური მიმოხილვა—ლალისა.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**17 მაისი**

**პარიჟი** საპარლამენტო წრეებში ჰფიქრობენ, რომ გალიფე უთუოდ უნდა გამოვიდეს სამსახურიდან. ვალდეკი ცდილობს მოუპოვოს მას მოადგილე. გალიფეს სამსახურიდან გამოსვლა და ახალის სამხედრო მინისტრის დანიშვნა ერად იქმნება გამოცხადებული.

**პეკინი.** რამდენიმე ბელგიელთ, რომელნიც სცხოვრობენ ჩჟანოიცზინში, გზა მოუჭრეს. ისინი იგერებენ „დიდი მუშტის“ მომხრეთ. „დიდი მუშტის“ ჯარმა ცეცხლი წაუკიდა ქალაქ ფენტაის. ბელგიელნი საშიშ მდგომარეობაში არიან. „დიდმა მუშტმა“ დასწვა ფენტაის სამანქანო ქარხანა; დაიღუპა რამდენიმე კაცი.

**კაპშტადტი.** ხმა არის, ვითომც კრიუგერს განზრახვა ჰქონდეს აეფეთქოს ოქროს მადნები. კრიუგერი პრეტორიაშია.

**ლონდონი.** შვედთა მეფე გაცივდა და ცოტათი უქეიფოდ შეიქმნა; ამის მიზეზით პარიზში გამგზავრება გადასდო.

**გააგა.** გარეშე საქმეთა მინისტრმა გახსნა მესამე კრება, რომელსაც საგნად აქვს შეგროვება საერთაშორისო კანონებისა კერძო უფლებათა შესახებ. მინისტრი მიესალმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ და გაახსენა მათ —როგორ ნაყოფიერად დასრულდა ორი წინანდელი კრება. მინისტრმა განაცხადა, რომ კრებას განსახილველი აქვს საყურადღებო კითხვები ქორწინების, ოპეკისა და მემკვიდრეობის უფლებათა შესახებ. უცხოელთა მაგიერ მინისტრს მადლობა გადაუხადა პორტუგალიის ელჩმა. პრეზიდენტად აირჩიეს ასსერი. საპატიო პრეზიდენტებად აირჩიეს პორტუგალიის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენელნი; ვიცე-პრეზიდენტებად—გერმანიის, უნგრეთისა და რუსეთის წარმომადგენელნი. კონფერენცია მაშინვე შეუდგა მუშაობას. დღეს, საღამოს, უცხოელთა წარმომადგენლებს მიიღებს მთავრობა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ ევროპის ყველა სახელმწიფონი გარდა ინგლისისა, ოსმალეთისა, საბერძნეთისა და სერბიისა.

**ტანჟერი.** იუწყებიან, რომ მაროკკელნი ძალიან აღელვებულნი არიან ფრანგების წინაამდეგ.

**ბუდა-პეშტი.** უნგრეთის დელეგაციამ დაამტკიცა შეუცვლელად გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი. ფალკს წინადადება შემოაქვს, გამოვუცხადოთ გრაფ გოლუხოვსკის მადლობა გარეშე პოლიტიკის კარგად წარმოების გამოო. აპონიი აცხადებს იმასვე და ქებით იხსენიებს სამთა კავშირს.

**პარიჟი.** პარლამენტის კორრიდორებიდაბეჯითებითლაპარაკობენ გალიფეს სამსახურიდან გამოსვლის შესახებ, რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ მისცემს მას განაგრძოს სამინისტროს მართვა. მის მაგიერ ასახელებენ გენ. ანდრეს, რომელსაც ვალდეკმა უკვე გაუგზავნა დეპეშა. გალიფემ წერილით აცნობა ვალდეკს, სამსახურიდან გამოვდივარო. ხვალ იქნება გამოცხადებული ანდრეს დანიშვნა სამხედრო მინისტრად.

**ტიანცზინი.** გერმანელთა და ფრანგთა რაზმი წავიდა ტიანცზინიდან იმ ბელგიელთა გამოსახსნელად, რომელნიც „დიდი მუშტის“ ბრბოს ებრძვიან. მეფის მოადგილემ ნება დართო რაზმს რკინის გზით წასულიყო მხოლოდ მაშინ, როცა ეს ენერგიულად მოითხოვა საფრანგეთის კონსულმა. მოელიან ას მატროსს შეერთებულ შტატების გემიდან.

**ლონდონი.** ოფიციალურად. ინგლისელთა მცირე რაზმს თავს დაესხა აშანთიების რაზმი კვიორთან. ოფიცერი და რამდენიმე ჯარის-კაცი მოკლულ იქმნა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება გერმისტონიდან: „ჩვენ მოვედით აქ დღეს; წინაამდეგობა არავისგაუწევია.ამ ჟამად ჩვენ გვიჭერია ადგილი, რომელიც აერთებს იოჰანესბურგს ნატალთან, პრეტორიასთანა და კლერკსდორპტთან. ამბობენ, რომ იოჰანესბურგში ყოველივე მშვიდობიანად არის; არც ერთი მადანი დაზიანებული არ არის. ხვალ მოვთხოვ კომენდანტს დამნებდეს. ვფიქრობ, რომ, თუ წინააღმდეგობა არ გამიწიეს, ხვალ შუა დღემდე შევალ ჩემის ჯარით იოჰანესბურგში“.

**18 მაისი.**

**ლონდონი.** კონსერვატორთა ნადიმზე სალისბიურიმ სთქვა, რომ ინგლისს ახალ ქვეყნების მოპოვება კი არ ჰსურდა, არამედ იმ ბრიტანელთა დაფარვა, რომელთაც ბურები ავიწროებენ, მაგრამ, რაკი ინგლისი იძულებული გახდა ომი დაეწყო, სასაცილო იქნებოდა პირობა დაედო—არ შევიერთებ დაპყრობილ ქვეყნებსაო. ინგლისმა ბევრი მსხვერპლი მოიტანა, მაგრამ მწამს, რომ მეორედ აღარ დასჭირდება ამგვარივე მსხვერპლის მოტანა.

**ლონდონი.** კონსერვატორთა ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვაში სალისბიურიმ სთქვა: „ჩვენ არ ვიქნებით უზრუნველყოფილნი იმ დრომდე, სანამ ორივე სახელმწიფოს არ გაუჩენთ დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას. ჩვენ კისერზეა ორნაირი მოვალეობა: უნდა დავიცვათ მკვიდრთა ხალხები და, მეორეს მხრით, ისე ვაწარმოოთ ჩვენი პოლიტიკა, რომ განხეთქილებისა და მტრობის ნაცვლად სამხრეთ-აფრიკაში გამეფდეს მშვიდობიანობა და მორიგება; ჩვენ არაფერს არ ვზოგავთ იმისთვის, რომ სამუდამოთ მოვსპოთ ყოველივე შეთქმულება და წინააღმდეგობა ინგლისელთა მიმართ.“

ნიუ-კესტლიდან იტყობინებიან 29 მაისს: „საგემო ზარბაზნებმა, რომელნიც სდგანან მოუნტეპროსპექტში, დაუწყეს სროლა ბურების პოზიციებს პოგვაინთან და ლენგსნეკთან. მტერმა უპასუხა, მაგრამ ზარალი ვერაფერი მისცა.

**ჰამბურგი.** გაზ. «Boersen Nalle»-ში დაბეჭდილია: „საიმედო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ტიანცზინისა და პეკინს შუა გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა. მდგომარეობა გაუმჯობესდა და საშიში აღარა არის-რა“.

ფრანგთა და გერმანელთა რაზმი დაბრუნდა ტიანცზინს და ჩამოიყვანა 25 განთავისუფლებული ბელგიელი; მათ შორის ქალებიცაა და ბავშვებიც.

**ბლუმფონტეინი.** რობერტსის პროკლამაცია, რომლითაც გამოცხადებულია ორანჟეს რესპუბლიკის შეერთებაი ნგლისთან, სამხედრო გუბერნატორმა წაიკითხა საბაზრო მოედანზედ. კითხვა მოისმინა დიდ-ძალმა ხალხმა. მოედანზე ჯარი იდგა. პროკლამაციაში გამოცხადებულია, რომ ამიერიდან ორანჟეს რესპუბლიკას ეწოდება „მდინარე ორანჟეს ახალშენი“. პროკლამაციის წაკითხვის შემდეგ აფრიალებულ იქმნა ინგლისის სამეფო დროშა.

**მოუნტსპროსპექტი.** ბრიტანელთა ჯარმა დაიჭირა ძლიერი პოზიციები. გუშინ ამ პოზიციებს ბურებმა დაუშინეს ზარბაზნები, მაგრამ ამაოდ. დღეს ინგლისელთა

მოწინავე რაზმს ბრძოლა მოუხდა. არტილლერიამ დაუშალა ბურებს ბოტის გასავლის გამაგრება.

**ნიუ-კასტლი.** ბულლერი აცხადებს, რომ ინგლისის ჯარები დაიძვრის ტრანსვაალისაკენო. მცხოვრებთ ბულლერი ჰპირდება პატრონობასა და დაცვას იმ პირობით თუ ისინი სრულს ნეიტრალიტეტს დაიცავენ; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ როგორც პირადად, ისე ქონებითაც.

**კაპშტადტი.** იოჰანესბურგიდან მოსულნი ამბობენ, რომ იქ კერძო სახლებსაც ძარცვავდნენ. სანიტარული მდგომარეობა ცუდია.

**კონსტანტინეპოლი.** ამბობენ, რომ ახმედ-მუხთარ-ფაშას თხოვნა გამოუგზავნია ეგვიპტედან, სამსახურიდან დამითხოვეთო. ის ოსმალეთის უმთავრესი კომისარია ეგვიპტეში.

**პარიზი.** პრეზიდენტმა ლუბემ დაათვალიერა გამოფენის უცხოელი განყოფილებანი. ის გაჩერდა რუსეთის განყოფილებაში, სადაც მას მიეგება თავადი ტენიშევი; მან ხელ-მეორედ გასინჯა საფრანგეთის რუკა და ყურადღება მიაქცია ოქროსა და ვერცხლიდან გაკეთებულს ნივთებს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ავადმყოფობის გამო სამინისტროს საქმეების მართვა გადასცა სენატორ დურნოვოს, ტაინი-სოვეტნიკს სტიშინსკის, თავ. სვიატოპოლკ-მირსკის და თავ. ობოლენსკის; დიდი საქმეების ხელმძღვანელობა და მათთვის მიმართულების მიცემა თითონვე დაიტოვა.

**ტიანცზინი.** უცხოელ საელჩოთა დასაცველად მიწვეულია უცხოელ სახელმწიფოთა რაზმები; მეფის მოადგილე ჯერ, სანამ გარეშე საქმეთა სამინისტრო ნებას დართავდეს, არ აძლევს ნებას რკინის გზით გადაიყვანონ ეს რაზმები ტიანცზინიდან პეკინში.

**ტაკუ.** აქ მოვიდნენ რუსეთისა და ინგლისის სამხედრო გემები; ინგლისელებმა გადმოიყვანეს ნაპირზე ჯარის კაცები; ტიანცზინში 108 ამერიკელი ჯარის კაცია. ამ ქალაქს საშიში არა მოელისრა.

**პრეტორია.** ბრიტანელი ოფიცრები იოჰანესბურგში არიან და დანებების პირობებს უცხადებენ იქაურებს. ჰფიქრობენ, რომ ბურები წინააღმდეგობას გაუწევენ ინგლისელებს. ინგლისელების ავანგარდი იოჰანესბურგის და პრეტორიას შუა გზამდე მივიდა. ბურგომისტრის მიერ მიწვეულმა სახალხო კრებამ ამოირჩია კომისია (სხვათა შორის გრეგოროვსკიც) წეს-რიგის დასაცველად. კრიუგერი ვატერვალბოვენენშია.

**ლონდონი.** პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ ინგლისელებს შეუძლიანთ ამ ქალაქის აღება ორი საათის განმავლობაში; წინააღმდეგობას მათ არავინ გაუწევს. პრეზიდენტი ვატერვალბოვენენში წავიდა. ბურგომისტრი ინგლისელებს უნდა დახვდეს. შესდგა გავლენიანი პირების კომისია, რომელმაც მცხოვრებთა უზრუნველ-ყოფაზე უნდა იზრუნოს. ყველგან მშვიდობიანობა ჰსუფევს. ბევრი ელის ინგლისელების აქ მოსვლას.

**ლორენცო-მარკეზი.** სავაჭროების ზიდვა დელაგოას გზით შეწყდა, უთუოდ ტრანსვაალში მომხდარ ამბების გამო. პორტუგალიის ჯარებს ბრძანება მოუვიდათ საზღვრებზე იდგნენ; აგრეთვე ფლოტმაც თავი უნდა მოიყაროს ნაპირებზე. ბურების რაზმი მოვიდა კომატიპორტში.

**პრეტორია.** ინგლისის ჯარები, რომლებიც შაბათს ვაალის მეორე ნაპირზე გადავიდნენ, თავს დაესხნენ ბურებს ვიტბატერსთან, მაგრამ ბურებმა ბოტას სარდლობით უკუ-აქციეს ისინი; შემდეგ ბურებმა ინგლისელების პოზიციები აიღეს. ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ვლადიმირი-ვოლინზე.** ღამე, 16 მაისს, დაიწვა ნახევარი ქალაქი; 800-ზე მეტ ებრაელთა ოჯახს ყველაფერი დაეწვა; მათი მდგომარეობა აუწერელია; დაარსდა კომიტეტი, რომელიც იღებს შემოწირულებას.

**ნიუკასტლი.** მტერი ინგლისელების ჯარის მარჯვენა მხარეს ემუქრებოდა; ამიტომაც 14 მაისს გაგზავნეს ვილიარდის რაზმი უტრეხტისაკენ და დიტლტონის-დორნბერგისაკენ. ბურები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ. გილიარდმა დაიკავა უტრეხტი; კლერი ყუმბარებს ესვრის ლენგონეკს. ბურებს გამხნევება ეტყობა.

**ბელგრადი.** ტაუშანოვიჩის საქმე გადაწყდა: სიყალბის ჩადენისათვის მიუსაჯეს 3 წლით დატუსაღება; მეფის შეურაცხობისათვის კი 5 წელი და 7 თვე; სულ 8 წ. და 7 თვე.

**ტანჟერი.** როგორც ფეციდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, იქ მშვიდობიანობა სუფევს. მღელვარება მარტო საქარის მკვიდრთა შორის არის. სულთანი ენერგიულად შეუდგა მათ დამშვიდებას.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა მიიღო ეგვიპტეში მყოფ პორტის ობერ-კომისარის სამსახურიდან გადადგომის თხოვნა.

**ტომსკი.** შუადღისას გაჩნდა ცეცხლი; დაიწვა 200-ზე მეტი სახლი.

**კრონშტადტი.** როცა მამა იოანე კრონშტადტელი ხალხს აზიარებთა, გაჰყლიტეს ვიღაც უცნობი ქალი; გარდა ამისა საავადმყოფოში გაგზავნილია ორი საშიშრად გალახული ქალი.

**ლორენცო-მარკეზი.** კომანდირმა კრაუზემ გადასცა რობერტს იოჰანესბურგი. გუშინ პრეტორიიდან ლორენცო-მარკეზში მოსულ მატარებლით მოვიდა რამდენიმე ბერძენი; ესენი ამბობენ, რომ იოჰანესბურგიდან მატარებლის დაძვრისათანავე ინგლისელებმა მას სროლა დაუწყეს და მატარებელი შუაზე გაწყვიტეს; პრეტორიაში მხოლოდ მატარებლის ნახევარი წავიდა. პრეტორიადან მოსული მგზავრები ამბობენ, რომ მცხოვრებლები სრულებით დაეცნენ სულით და ზღვის ნაპირისაკენ გარბიან.

**პრეტორია.** გარშემო სიმაგრეებიდამ ბურების ჯარები წავიდნენ.

**ლონდონი.** შანჰაიდან იტყობინებიან, რომ მთავრობას განკარგულება გამოუცია, რომ აკრძალულია „დიდი მუშტის“ პარტიაში მონაწილეობის მიღება. დამნაშავენი სიკვდილით დაისჯებიან.

ფრეიბურგიდან იტყობინებიან, რომ გენტერი მოვიდა გვისდორპში, ლაჰტენბურგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 60 მილის მანძილზე.

პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ ბურები აღარ ეწინააღმდეგებიან ინგლისელთ. როგორც სჩანს, ტრანსვაალის მთავრობა დაუყოვნებლივ დაიწყებს მორიგებაზე მოლაპარაკებას, თუ კიდევაც არ დაუწყია. გუშინ უკანასკნელად სცადა მთავრობამ და დაეკითხა ტელეგრაფით რამდენიმე ალაგას საზღვარ-გარედ—არის კიდევ იმედი, რომ რომელიმე სახელმწიფო დაეხმაროს ბურებსაო, თუ არა?

**კლიპრივერი.** ინგლისელებისათვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. რკინის გზის ლიანდაგი უვნებლად დარჩა. თუ ბურებს ჰსურთ ნატალთან კავშირი არ შესწყვიტონ, უნდა შეებრძოლონ მტერს.

**პეკინი.** რადგანაც „დიდი მუშტის“ მიერ გამოწვეული აჯანყება მეტად გაძლიერდა, პეკინში ძალიან დიდი შიშიანობაა. უცხო სახელმწიფოთა ელჩებმა გამოუცხადეს ჩინეთის მთავრობას—დაიბარეთ ევროპიდან მომშველი ჯარებიო, რომელნიც მალე მოვლენო.

**ცზინტაუ.** გერმანიის გემმა „კაიზერინ ავგუსტა“-მ წაიყვანა ტაკუსაკენ ერთი ოფიცერი და 50 ჯარის კაცი.

**კონსტანტინეპოლი.** ცნობა, ვითომც სულთანმა შეიწყნარა ახმედ-მუხთარ-ფაშის თხოვნა სამსახურიდან გამოსვლის შესახებაო, არ გამართლდა.

**ბუდა-პეშტი.** ავსტრიელ დელეგაციის სესსია დასრულდა.

**იოკაჰამა.** რადგანაც ლიბერალებმა მოითხოვეს—ადგილები მოგვეცით სამინისტროშიო, მთელი სამინისტრო სამსახურიდან გამოდის.

**ტიანცზინი** აქ მოვიდა რუსეთის ხუთი სამხედრო გემი ორის საალღუმო ნივით. ერთი საფრანგეთის გემი, ორი ინგლისელი და და ერთი იტალიანური. ყველა გემებიდან გადმოსხმენ ჯარის-კაცებს.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | › | —15 | კ. |
| › ცხვრისა . | › | › | — $8^1/_2$ | |
| › კამეჩისა. . | › | › | — 8 | კ. |
| › ღორისა. . | › | › | — 8 | კ. |
| › ღორის ზარკა-ლი სალორეთი . | 1 | › | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| › › | II | › | › | › | $3^1/_2$ | › |
| › › | III | › | › | › | 3 | › |
| იგივე თორნისა | I | › | › | › | 5 | › |
| › › | II | › | › | › | 4 | › |
| › › | III | › | › | › | $3^1/_2$ | › |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | › | › | › | 6 | › |
| › › | II | › | › | › | 4 | › |

---

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | | ვოგზალზე, | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| › უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშ რცხილის 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშ ნარევი 36 მ. ცხვარი თუშის 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორ 8ადგილობრივი ჯიშის 8.-დამ ი მ. 50 კ.-მდე, მროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესაბმელი,—კამეჩი—მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესაბმელი— მ.

---

რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4.** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ეომ9 წ. საღ.

**ფოთიდან** მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის დს.ი 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. 6 ღსით

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის— 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა ტფილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

# გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| დვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რმე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ჰალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წაგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. | 75 » |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. | 60 » |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 » |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 » |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 » |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 » |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 » |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. ბუნია.



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.